

საქართველოს კანონი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

“სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №4 1998 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის დამატება:

1. კანონის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 და მე-3 პუნქტები:

2. ეს კანონი არ აწესრიგებს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ქონებაზე არსებული წესით დამაგრებული მიწის ნაკვეთის განკარგვისა და მართვის საკითხებს.

3. სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ქონების განკარგვა ხდება იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის არსებული წესით არის დამაგრებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ “სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის, მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე”.

მუხლი 2

ამ კანონის ამოქმედებამდე მიწის გარეშე ხარვეზობის უფლებით გადაცემულ სახელმწიფო ქონებაზე არსებული წესით დამაგრებული მიწის გადაცემა ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე